



საქართველო, ქ. თბილისი,
 0186 ა. პოლიტეკოვსკაის N7
 ტელ: 995 32) 217 17 17; 110011
 ელ-ფოსტა: office@magticom.ge
 ვებ-გვერდი: www.magticom.ge

ხელშეკრულება

ქ. ----- თარიღი ---- / ---- / -----წ.

გვარი, სახელი ----- პირადი N -----

დაბადების თარიღი ----- კოდური სიტყვა -----

მისამართი -----

მომსახურების გააქტიურების მისამართი -----

აბონენტის საიდენტიფიკაციო კოდი: ----- სააბონენტო მოწყობილობის N -----

აბონენტის საკონტაქტო ინფორმაცია ტელ. ----- ელ.ფოსტა ----- (ივსება აბონენტის მიერ)

აბონენტი ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები არის უტყუარი, რომ გადაეცა და გაეცნო ოპერატორის მომსახურების მიწოდების სტანდარტულ პირობებსა და ხელშეკრულებას და ხელისმოწერით ეთანხმება მათ.

მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობები და წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ასევე შეგიძლიათ იხილოთ ოპერატორის ვებ გვერდზე (www.magticom.ge) და მომსახურების ოფისებში.

შპს „მაგთიკომი“

აბონენტი

“ვითიზი ბანკი ჯორჯია მთაწმინდის ფილიალი
 ანგ. ლარი: GE73VT660000000423607
 ბანკის კოდი: UGEBGE22

“თი-ბი-სი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი
 ანგ. ლარი: GE96TB0600000899467899
 ბანკის კოდი: TBCBGE22

| | |
|-----|--|
| 1. | ხელშეკრულების საგანი |
| 1.1 | ოპერატორი იღებს ვალდებულებას ოპერატორის მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობების და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, მიაწოდოს აბონენტს მომსახურება – მაუწყებლობის ტრანზიტი, რომელიც მოიცავს თანამგზავრული ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ციფრული ტელემაუწყებლობის საშუალებით მაუწყებლების ტელეპროგრამების გადაცემას საქართველოს ტერიტორიაზე უცვლელი სახით, აგრეთვე დამატებითი მომსახურებები. |
| 2. | ქსელში ჩართვის და მომსახურების პირობები |
| 2.1 | აბონენტის მიერ მომსახურების გააქტიურების საფასურის გადახდის შემდეგ, ოპერატორი დაამონტაჟებს სააბონენტო მოწყობილობას (რაც დასტურდება აბონენტთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით) და უზრუნველყოფს ქსელში ჩართვას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 24 საათის განმავლობაში. |
| 3. | მომსახურების ხარისხი |
| 3.1 | მომსახურება ხელმისაწვდომია დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად (გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროვიზიონალური სამუშაოების მიმდინარეობისა) და შესაბამის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმებს და სტანდარტებს. 3.2 და 3.3 პუნქტებით განსაზღვრული გამოწვევების შემთხვევების გათვალისწინებით. |
| 3.2 | თანამგზავრული მაუწყებლობის თავისებურებების გამო, მომსახურება შესაძლებელია არ იყოს უწყვეტი ან შეუფერხებელი, სიგნალი შეიძლება დაიკარგოს ან მომსახურების ხარისხი შესაძლებელია გაუარესდეს, განსაკუთრებით მეტეოროლოგიური პირობების ან სხვაგვარი თავისებურებებიდან გამომდინარე. მომსახურების თავისებურებებიდან გამომდინარე მომსახურება და მისი ხარისხი დამოკიდებულია სხვა მაუწყებლების ფუნქციონირების ხარისხზე, რომელიც სცილდება ოპერატორის პასუხისმგებლობის ფარგლებს. |

| | |
|-------|--|
| 3.3 | ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი მომსახურების შეფერხებების ან ნაკლოვანებებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მისაღებად აბონენტი იყენებს გაუმართავ, დაზიანებულ სააბონენტო მოწყობილობას ან თუ ეს უკანასკნელი მოდიფიცირებულია ან გარემონტებულია ოპერატორთან შეთანხმების გარეშე. |
| 3.4 | ოპერატორი ვალდებულია უფასოდ მოახდინოს მომსახურების აღდგენა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებას ადგილი აქვს სადემარკაციო წერტილიდან ოპერატორის მხარეს. სადემარკაციო წერტილად მოიაზრება წერტილი სადაც იწყება აბონენტის კერძო საკუთრება, ასევე თანასაკუთრება და სადაც ხდება ოპერატორისა და აბონენტის ვალდებულებების გამიჯვნა. |
| 4. | მხარეთა უფლებამოსილება |
| 4.1 | აბონენტი ვალდებულია: |
| 4.1.1 | შეასრულოს ხელშეკრულებით და მხარეთა შორის სხვა შეთანხმებებით განსაზღვრული ვალდებულებები. |
| 4.1.2 | უზრუნველყოს მხოლოდ ოპერატორის უფლებამოსილი წარმომადგენლების დაშვება მომსახურების მიწოდების ადგილზე მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო მოწყობილობების მონტაჟისათვის ან/და დემონტაჟისათვის ან/და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად და ხელი შეუწყოს მათ ყოველნაირად (ოპერატორი პასუხისმგებელია მხოლოდ მისი ავტორიზებული პირების მიერ შესრულებული მონტაჟის ან/და დემონტაჟის ხარისხზე), ასევე მოიპოვოს სააბონენტო მოწყობილობების დამონტაჟებისათვის ყველა აუცილებელი ნებართვა (საჭიროების შემთხვევაში), მათ შორის, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისაგან; |
| 4.1.3 | სააბონენტო მოწყობილობების ექსპლოატაციისას დაიცვას მოწყობილობების გამოყენების ინსტრუქციით განსაზღვრული წესები (ინსტრუქცია თან ახლავს სააბონენტო მოწყობილობას); |
| 4.1.4 | აუნაზღაუროს ოპერატორს სააბონენტო მოწყობილობის დაზიანებით მიყენებული ზიანი დანართი NI-ში განსაზღვრული პირობების შესაბამისად; |
| 4.1.5 | დროულად შეატყობინოს ოპერატორს მომსახურების მიღებისას წარმოშობილი ხარვეზების შესახებ. მხოლოდ ასეთი შეტყობინების შემდეგ აითვლება 4.3.4 პუნქტით განსაზღვრული ვადა. |
| 4.1.6 | დაუყოვნებლივ შეატყობინოს ოპერატორს აბონენტის შესახებ ინფორმაციის (სახელის, გვარის და მისამართის), ელექტრონული ფოსტის მისამართის ან სხვა, მათ შორის, საკონტაქტო (საკონტაქტო ნომრის) მონაცემების ცვლილების შესახებ და ასევე მინდობილობის ან რწმუნების შემთხვევაში მისი ცვლილების ან გაუქმების შესახებ; |
| 4.1.7 | ქსელში ჩართვა და მომსახურებების მიღება მოახდინოს მხოლოდ ოპერატორის მიერ გადაცემული სააბონენტო მოწყობილობით. აბონენტს ეკრძალება ოპერატორის მიერ გადაცემული სააბონენტო მოწყობილობის პროგრამული უზრუნველყოფის მთლიანობის დარღვევა, ან მისი კოპირება. |
| 4.1.8 | არ მოახდინოს მიღებული მომსახურების შემდგომი გადაცემა, საჯარო ჩვენება (საკონფერენციო დარბაზებში, ჰოლბებში, სილაამაზის სალონებში, ბარებში, რესტორნებში, სასტუმროებში, სავადმყოფოებში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში), ხელახალი ტრანსლაცია, ჩაწერა, ასლის გადაღება და გავრცელება და სხვა ნებისმიერი საშუალებით მომსახურების კომერციული მიზნით გამოყენება. ამასთან, აბონენტი ვალდებულია დაანუხრებად დაიცვას ოპერატორის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ კეთილსინდისიერად სარგებლობის წესები ¹ . |
| 4.1.9 | დროულად აწარმოოს ანგარიშსწორება ოპერატორთან გაწეული მომსახურებისთვის. ანგარიშსწორების წესები განსაზღვრულია დანართ NI-ით. |
| 4.2 | აბონენტი უფლებამოსილია: |
| 4.2.1 | აირჩიოს მომსახურების სასურველი პაკეტი, ისარგებლოს მოქმედი აქციებით/შეთავაზებებით ² ; |
| 4.2.2 | მიიღოს აუცილებელი და სწორი ინფორმაცია ოპერატორის მიერ აბონენტებისათვის შეთავაზებული მომსახურებების შესახებ, მისი შეწყვეტის მიზეზებისა და ხანგრძლივობის, ისევე როგორც ოპერატორის მიერ დადგენილი ფორმით და კოდის (კოდური სიტყვა) საშუალებით მის სააბონენტო ანგარიშზე ბალანსის ოდენობის თაობაზე, აგრეთვე იმის თაობაზე თუ რამ შეიძლება რაიმე სახის ზეგავლენა მოახდინოს მომსახურების ხარისხზე. |
| 4.2.3 | შეცვალოს არჩეული სატარიფო პაკეტი/ისარგებლოს აქციებით/შეთავაზებებით ცხელ ხაზზე დარეკვით, პორტალის, USSD ან ოპერატორის მიერ დადგენილი სხვა საშუალებით ³ . აბონენტი უფლებამოსილია სატარიფო პაკეტის მომდევნო ცვლილება (ვრცელდება მხოლოდ სატარიფო პაკეტის შემცირებაზე) განახორციელოს მხოლოდ ბოლო ცვლილებიდან 30 დღის შემდეგ. |
| 4.2.4 | ოპერატორის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. |
| 4.2.5 | ისარგებლოს მოწყობილობის საგარანტიო მომსახურებით ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან – 90 დღის განმავლობაში, თუ მოწყობილობის არაადეკვატური მუშაობა გამოწვეულია ქარხნული დეფექტით (საგარანტიო მომსახურება არ ვრცელდება მოწყობილობის მექანიკური ან ელექტრონული ზეგავლენით დაზიანების, მოწყობილობის არასწორი ექსპლოატაციის და მოპყრობის, აბონენტის დაუდევრობით გამოწვეული სხვა დაზიანებების შემთხვევებში); აბონენტის მიერ, დროებით სარგებლობაში გადაცემული სააბონენტო მოწყობილობის შესყიდვის შემთხვევაში, ამ პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო ვადა აითვლება აბონენტისთვის სააბონენტო მოწყობილობის დროებით სარგებლობაში გადაცემის თარიღიდან. |
| 4.2.6 | აირჩიოს მისთვის სასურველი კოდური სიტყვა, რომლის მეშვეობითაც, ოპერატორის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, შეუძლია განახორციელოს მომსახურების გარკვეული სახეების ჩართვა, შეცვლა ან გამორთვა. ოპერატორი იხსნის პასუხისმგებლობას თუ აბონენტის კოდური სიტყვა ცნობილი გახდება მესამე პირებისათვის. |
| 4.3 | ოპერატორი ვალდებულია: |
| 4.3.1 | მიაწოდოს აბონენტს ხარისხიანი მომსახურება შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში; |
| 4.3.2 | აბონენტის მოთხოვნიდან 24 საათის ვადაში, 4.2.3 პუნქტით განსაზღვრული პირობის დაცვით, შეუცვალოს აბონენტს სატარიფო პაკეტი; |
| 4.3.3 | მომსახურების ტარიფების ცვლილების შემთხვევაში უზრუნველყოს აბონენტის ინფორმირება ახალი ტარიფებით მომსახურების დაწყებამდე 1 თვით ადრე. ხოლო აბონენტისთვის მიწოდებული მომსახურების პაკეტის შეცვლის, ან პაკეტში ცვლილების შემთხვევაში, უზრუნველყოს ამ ინფორმაციის მიწოდება ახალი პაკეტით მომსახურების დაწყებამდე 10 სამუშაო დღით ადრე; |
| 4.3.4 | მოახდინოს მომსახურებაში არსებული შეფერხებების და ნაკლოვანებების აღმოფხვრა და ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირების აღდგენა გონივრულ ვადებში, ტექნიკური შესაძლებლობების და ხელთარსებული რესურსების ფარგლებში, მაგრამ არაუგვიანეს მიზეზის წარმოშობიდან 24 საათის განმავლობაში; |

¹ ცვლილება ძალაშია 01.08.2018-დან

² ცვლილება ძალაშია 01.08.2018-დან

³ ცვლილება ძალაშია 01.08.2018-დან

| | |
|-------|--|
| 4.3.5 | მომსახურების უზარისხოდ მიწოდების ან მიუწოდებლობის შემთხვევაში 4.3.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ და აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს კომპენსაციის გადახდა 5.3 პუნქტით შესაბამისად. აღნიშნული პირობა არ ვრცელდება 3.2 და 3.3 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებზე, ასევე სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მომსახურების მიწოდების შეფერხება გამოწვეულია აბონენტის მიზეზით, მათ შორის, სააბონენტო მოწყობილობისათვის თვითნებური ადგილმდებარეობის შეცვლა ან/და მისი მოხსნა ან/და გადატანა და ა.შ. |
| 4.4 | ოპერატორი უფლებამოსილია: |
| 4.4.1 | დაადგინოს მომსახურების პირობები და წესები, ტარიფების ოდენობა, მათი გადახდის წესები, ცვლილებები და შეტყობინების შემდეგ ცალმხრივად შეცვალოს ისინი. აღნიშნულ შეტყობინებას ოპერატორი ავრცელებს და აქვეყნებს მის მიერ დადგენილი წესით საკუთარ ოფისებში და ოპერატორის ვებ-გვერდზე. 4.3.3 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებების შემთხვევაში, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება მომსახურების საფასური ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ოპერატორი მიახდენს აბონენტის ინფორმირებას ინდივიდუალური შეტყობინების საშუალებით, ყველა სხვა შემთხვევაში ოპერატორის ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება ჩაითვლება აბონენტის შეტყობინებად. ინდივიდუალურ შეტყობინებად მოიაზრება შემდეგი სახის შეტყობინებები: წერილობითი შეტყობინება იმ მისამართზე სადაც განთავსებულია სააბონენტო მოწყობილობა, აბონენტის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება, აბონენტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი მოკლე ტექსტური ან ხმოვანი შეტყობინება და მომსახურების მიმღები მოწყობილობის ეკრანზე გამოტანილი შეტყობინება. 4.1.6 პუნქტის შესაბამისად ელექტრონული ფოსტის ან საცხოვრებელი მისამართის ან საკონტაქტო ნომრის ცვლილების შეტყობინებლობის შემთხვევაში, ოპერატორისათვის ცნობილ საცხოვრებელ ან ელექტრონულ ფოსტის მისამართზე ან საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება მიიჩნევა მიღებულად. ამასთან, შეტყობინება გაგზავნილად მიიჩნევა ოპერატორის ქსელიდან მისი გაგზავნის დადასტურების ფაქტით, ადრესატის მიერ შეტყობინების ფიზიკურად მიღების მიუხედავად ⁴ . |
| 4.4.2 | დააწესოს ფასდაკლებები სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით, საჯარო განცხადების სახით, გააკეთოს სპეციალური შეთავაზებები (აქციები). აბონენტებისათვის განსაზღვრული ფასდაკლებები ან სპეციალური შეთავაზებები (აქციები) შესაძლებელია იყოს, როგორც მუდმივად მოქმედი, ასევე დროებითი. ფასდაკლებებით ან სპეციალური შეთავაზებებით (აქციებით) სარგებლობის პირობები განისაზღვრება ოპერატორის მიერ და ინფორმაციას მისი პირობების და ხელმისაწვდომობის შესახებ ოპერატორი ავრცელებს მის მიერ დადგენილი წესით, მათ შორის ვებ-გვერდზე და მომსახურების ოფისებში. |
| 4.4.3 | ჩაატაროს საკუთარი ქსელში გადაუდებელი სარემონტო თუ პროფილაქტიკური სამუშაოები, რომელსაც შესაძლებელია მოყვეს მომსახურების შეჩერება, შეზღუდვა, გაუარესება ან შეფერხებები და რომელიც ემსახურება მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ან გამიზნულია ქსელის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; |
| 4.4.4 | ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება აბონენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არ ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. |
| 4.4.5 | ხელშეკრულების გაფორმებისას საკუთარ მონაცემთა ბაზაში დაარეგისტრიროს აბონენტის პერსონალური ინფორმაცია (ვინაობა, მისამართი და სხვა ინფორმაცია, რითაც შესაძლებელია აბონენტის იდენტიფიცირება). ამასთან ოპერატორი არ გამოიგნავს, რომ აბონენტის პერსონალური ინფორმაცია ოპერატორის მონაცემთა ბაზაში დაგვიანებით დაფიქსირდეს. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აბონენტი აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემები გადამოწმებულ იქნეს შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს მონაცემთა ბაზაში. ამასთან, ოპერატორი ვალდებულია აბონენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება მოახდინოს მხოლოდ სტანდარტული პირობებისა და ოპერატორის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული კონფიდენციალობის პოლიტიკის შესაბამისად ⁵ . |
| 5. | მხარეთა პასუხისმგებლობა |
| 5.1 | ოპერატორი კისრულობს პასუხისმგებლობას აუნაზღაუროს აბონენტს ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს აბონენტს ოპერატორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად და რომელიც გამოწვეულია, დადასტურებული ბრალეულობისას, ოპერატორის მიერ, მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ოპერატორისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. |
| 5.2 | აბონენტი კისრულობს პასუხისმგებლობას აუნაზღაუროს ოპერატორს ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს ოპერატორს აბონენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად. |
| 5.3 | ოპერატორის პასუხისმგებლობა, მისი დადასტურებული ბრალეულობის შემთხვევაში, შემოიფარგლება და განისაზღვრება შემდეგნაირად: ა. მომსახურების გააქტიურების ვადების დარღვევის შემთხვევაში ოპერატორის მიერ დაწესებული მომსახურების გააქტიურების საფასურის 0,5 პროცენტის ოდენობის საურავით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ბ. მომსახურების არ მიწოდების შემთხვევაში (რაც გულისხმობს ისეთ შეწყვეტას ან შეფერხებას, რომლის დროსაც გათიშული და ხელმოუწვდომელია მთლიანად მომსახურება და არა ცალკეული ტელეარხი და რომლისთვისაც ოპერატორს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა), უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში აბონენტის მიერ 24 საათის განმავლობაში საშუალოდ ფაქტიურად მიღებული მომსახურების საფასურის ოდენობის 1 პროცენტის ოდენობის საურავით ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე 4.3.4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ; ა და ბ პუნქტების შემთხვევაში მომსახურების არ მიწოდების ფაქტი აბონენტის მხრიდან უნდა იყოს დოკუმენტალურად დადასტურებული. ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი კომპენსაცია განხორციელდება სააბონენტო ანგარიშზე ლიმიტის გააქტიურებით ⁶ . |
| 5.4 | იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედი კანონმდებლობით არის დაშვებული, არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორეს წინაშე არაპირდაპირი ზიანისათვის, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერების, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებლის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის. |
| 6. | ხელშეკრულების მოქმედების ვადა |
| 6.1 | წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 წლის ვადით. |
| 6.2 | იმ შემთხვევაში, თუ 6.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე 30 დღით ადრე არც ერთი მხარე არ გამოხატავს ხელშეკრულების შეწყვეტის ნებას, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება იგივე ვადითა და პირობებით, ყოველი მომდევნო ვადის ამოწურვის შემდეგ. |
| 6.3 | ხელშეკრულების შეწყვეტა გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებებზე. |

⁴ ცვლილება ძალაშია 01.08.2018-დან

⁵ ცვლილება ძალაშია 01.08.2018-დან

⁶ ცვლილება ძალაშია 01.08.2018-დან

| | |
|-----|---|
| 7. | პრეტენზიის წარდგენის წესები |
| 7.1 | მომსახურების არაჯეროვნად მიღებასთან, მომსახურების საფასურის დარიცხვასთან ან ნებისმიერ ხარვეზთან დაკავშირებით აბონენტი უფლებამოსილია პრეტენზიით (ზეპირად ან წერილობით) მიმართოს ოპერატორს. წერილობითი პრეტენზია შედგენილი უნდა იქნეს განცხადების სახით და წარედგინოს/მიეწოდოს ოპერატორს ადმინისტრაციული ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას N7 აბონენტთა პრეტენზიების განყოფილებას ან ოპერატორის რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების ოფისს. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენზია ეხება მაუწყებლობის სფეროს (ოპერატორის მიერ წარმოებული სატელევიზიო არხების მაუწყებლობას), პრეტენზია განიხილება „საჩივრების განმხილველი საბჭოს და სააპელაციო საბჭოს დებულებით“ დადგენილი წესების შესაბამისად. |
| 7.2 | პრეტენზიაში აბონენტმა უნდა მიუთითოს ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია. პრეტენზიაში მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული თუ რა მიაჩნია აბონენტს ოპერატორის მხრიდან არასწორ ან არასამართლიან ქმედებად, მოთხოვნა და გარემოებები, რომელსაც მოთხოვნა ეფუძნება. პრეტენზიას უნდა დაერთოს ხელშეკრულების ასლი ან მიეთითოს ხელშეკრულების ნომერი და სხვა პრეტენზიის შინაარსის დამადასტურებელი მონაცემები. აბონენტის მიერ წარდგენილი პრეტენზია ოპერატორის მიერ განხილული იქნება ოპერატორის მიერ დადგენილი და დამტკიცებული წესების მიხედვით, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია წარდგენილ პრეტენზიაში ასახული ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მოთხოვნების სირთულეზე, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დაცვით. |
| 8. | დასკვნითი დებულებები |
| 8.1 | მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობები, წინამდებარე ხელშეკრულება, მისი დანართები, მიღება ჩაბარების აქტები და მხარეთა მიერ ხელმოწერილი სხვა დოკუმენტები წარმოადგენენ ერთიან ხელშეკრულებას. მომსახურების მიწოდების სტანდარტულ პირობებსა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესი ძალა ენიჭება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს. |
| 8.2 | ხელშეკრულების რომელიმე პირობის შეუსრულებლობა ან შესრულების დაყოვნება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. |
| 8.3 | აბონენტი აცნობიერებს, რომ ოპერატორი, მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების მიწოდებისას არ წარმოადგენს შეთავაზებული სატელევიზიო პროგრამების შემქმნელს და მის მიერ მიწოდებული მომსახურება წარმოადგენს მაუწყებლობის ტრანზიტს, რაც გულისხმობს სატელევიზიო არხების უცვლელი ფორმატით მიწოდებას და ოპერატორი გარანტიას არ იძლევა და სრულიად იხსნის პასუხისმგებლობას მესამე პირების (მაუწყებლების) საეთერო ბადეში არსებული პროდუქციის (პროგრამები, გადაცემები, ფილმები, რეპორტაჟები, კულტურული ღონისძიებები და ა.შ.) შინაარსზე, ხარისხზე, სიზუსტეზე, ხელმისაწვდომობაზე და დროულობაზე, სამაუწყებლო ბადეში ცვლილებებზე, მაუწყებლების მიერ საკუთარი საქმიანობის დროებით ან საბოლოო შეწყვეტაზე. ოპერატორი პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ წარმოებულ სატელევიზიო არხების მაუწყებლობაზე, რომელსაც აქვს ოპერატორის ლოგო და რომელიც მითითებულია ხელშეკრულების დანართში. |
| 8.4 | მხარეებს შორის უთანხმოების ან დავის წარმოშობისას შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერი დავა მხარის (პრეტენდენტის) არჩევანით, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად შესაძლებელია გადაეცეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს/კომისიას (მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე) ან სასამართლოს (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წარმოადგენს დავის განმხილველ განსჯად სასამართლოს). ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიქცეულ იქნება აღსასრულებლად. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება მიქცეულ იქნას დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ზიანი და მისი ანაზღაურება ⁷ |
| 8.5 | ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. |

⁷ ცვლილება ძალაშია 01.08.2018-დან

მომსახურების სატარიფო პაკეტები

I. აბონენტისათვის სააბონენტო მოწყობილობის დროებით სარგებლობაში გადაცემა.

აბონენტი ირჩევს მისთვის სასურველ ქვემოთ მოცემულ სატარიფო პაკეტს (არხების ჩამონათვალი მოცემულია დანართ N2):

| მაგთისატის სატარიფო პაკეტები | | | |
|-------------------------------------|----------------------|----------------------|--------------|
| | სტარტ-პაკეტი | საშუალო პაკეტი | სრული პაკეტი |
| არხების რაოდენობა | 51 (SD) | 103 (SD) | 128 (SD) |
| მომსახურების საფასური (ყოველთვიური) | 19 ლარი ⁸ | 29 ლარი ⁹ | 42 ლარი |

შენიშვნა: პაკეტის ღირებულება შეიცავს სააბონენტო მოწყობილობის ქირავნობის საფასურს.

აბონენტის მიერ არჩეული სატარიფო პაკეტით სარგებლობის პირობები:

1. აბონენტს დროებით სარგებლობაში სასყიდლით გადაეცემა მომსახურების მიღებისათვის საჭირო სააბონენტო მოწყობილობა. სააბონენტო მოწყობილობის ქირავნობის საფასური შეადგენს თვეში 10(ათი) ლარს. სააბონენტო მოწყობილობის გადაცემისას ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული მოწყობილობა წარმოადგენს ოპერატორის საკუთრებას.
2. აბონენტი ვალდებულია განახორციელოს ოპერატორის მიერ გადაცემული მოწყობილობის მოვლა და დაცვა. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია 7 დღის განმავლობაში უკან დაუბრუნოს ოპერატორს შემდგომი ექსპლოატაციისთვის ვარგისი ნივთობრივად უნაკლო მოწყობილობა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში აბონენტი არ დაუბრუნებს ოპერატორს სააბონენტო მოწყობილობას, ვალდებული იქნება 14 დღის განმავლობაში გადაუხადოს ოპერატორს სააბონენტო მოწყობილობის არ დაბრუნების საკომპენსაციო თანხა, შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ოდენობით და ოპერატორის ვებ-გვერდზე მოცემული პირობების შესაბამისად¹⁰.
3. მომსახურების გააქტიურების ერთჯერადი საფასური შეადგენს 80 ლარს. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში აღნიშნული საფასური აბონენტს არ უბრუნდება. აბონენტი ვალდებულია მომსახურება გააქტიუროს ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.
4. აბონენტი ვალდებულია ყოველთვიური მომსახურების საფასური (სააბონენტო გადასახდელი, ქირა, დამატებითი მომსახურების გადასახდელი) გადაიხადოს წინასწარ. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი სარგებლობს ორი ან მეტი მიმღებით, ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასურის სრული ოდენობა (ყველა მიმღებზე).
5. წინამდებარე დანართით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ გადასახადებს.
6. მომსახურების საფასურის (სააბონენტო გადასახდელი, ქირა, დამატებითი მომსახურების გადასახდელი) სრულად, წინასწარ (მე-4 პუნქტის შესაბამისად) გადახდის შემდგომ, აბონენტს მომსახურება მიეწოდება მომდევნო 30 დღის განმავლობაში. 30 დღის გასვლის შემდეგ მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს მომსახურების მიწოდება ეზღუდება (უჩერდება), . თუ მომსახურების მიწოდება არ შეიზღუდა აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს ფულადი საავანსო თანხის(დეპოზიტის) ზემოთ გაწეული მომსახურების საფასური. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების შეზღუდვამდე აბონენტმა არასრულად გადაიხადა მომდევნო თვის მომსახურების საფასური, მომსახურება მიეწოდება გადახდილი თანხის პროპორციულად. შეზღუდული მომსახურების მიწოდება აღდება მხოლოდ მომსახურების საფასურის სრულად გადახდის შემდგომ, 24 საათის განმავლობაში. ამასთან, აბონენტი აცხადებს უპირობო თანხმობას, რომ ოპერატორი უფლებამოსილია აბონენტის ნებისმიერი მომსახურების ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრას ოპერატორის მიერ გაწეული ნებისმიერი მომსახურების (ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თუ სხვა) საფასური¹¹.
7. აბონენტის მიერ მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 60 დღის განმავლობაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ოპერატორი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და ამოიღოს დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8. მომსახურების ტარიფები, საფასური, გადასახდელები, დამატებითი მომსახურების (დამატებითი პაკეტები, პაუზა, ჯგუფის გამოძახება, მომსახურების მიღების მისამართის ცვლილება, დემონტაჟი და სხვა დამატებითი მომსახურებების პირობები) და სხვა პირობები განისაზღვრება ოპერატორის მიერ და აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ოპერატორის ვებ-გვერდზე www.magticom.ge. მომსახურების შეზღუდვა ავტომატურად იწვევს დამატებითი მომსახურებების შეზღუდვას, თუ დამატებითი მომსახურების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.¹².
9. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ვადაზე ადრე წყვეტს ხელშეკრულებას, წარმოქმნილი ფინანსური ვალდებულებების შესრულების შემდეგ, 30 დღის განმავლობაში აბონენტს უკან უბრუნდება არჩეული სატარიფო პაკეტის სააბონენტო გადასახდელის წინასწარ გადახდილი გაუხარჯავი თანხა, მომსახურების ხარჯების გამოკლებით¹³.
10. ანგარიშსწორება გაწეული მომსახურებისათვის წარმოებს როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

⁸ HD არხების მიღებისათვის საჭიროა HD მიმღები.

⁹ წინასწარ გადახდად ითვლება აბონენტის მიერ სააბონენტო ანგარიშზე სრული თანხის წინასწარ ჩარიცხვა.

მხარეთა ხელმოწერები

აბონენტი

ოპერატორი

⁸ 21.01.2019-მდე სტარტ-პაკეტის საფასური შეადგენს 16 ლარს, არხების რაოდენობა 48
⁹ 21.01.2019-მდე საშუალო პაკეტის საფასური შეადგენს 27 ლარს, არხების რაოდენობა 101
¹⁰ ცვლილება ძალაშია 01.08.2018-დან
¹¹ ცვლილება ძალაშია 01.08.2018-დან
¹² ცვლილება ძალაშია 01.08.2018-დან
¹³ ცვლილება ძალაშია 01.08.2018-დან

II. აბონენტის მიერ სააბონენტო მოწყობილობის შესყიდვა.

აბონენტი ირჩევს მისთვის სასურველ ქვემოთ მოცემულ სატარიფო პაკეტს (არხების ჩამონათვალი მოცემულია დანართ N2):

| მაგთისატის სატარიფო პაკეტები | | | |
|-------------------------------------|----------------------|-----------------------|--------------|
| | სტარტ-პაკეტი | საშუალო პაკეტი | სრული პაკეტი |
| არხების რაოდენობა | 51 (SD) | 103 (SD) | 128 (SD) |
| მომსახურების საფასური (ყოველთვიური) | 9 ¹⁴ ლარი | 19 ლარი ¹⁵ | 32 ლარი |

შენიშვნა: პაკეტის ღირებულება შეიცავს სააბონენტო მოწყობილობის ქირაფონის საფასურს.

აბონენტის მიერ არჩეული სატარიფო პაკეტით სარგებლობის პირობები:

1. აბონენტი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ოპერატორს უხდის სააბონენტო მოწყობილობის სრულ ღირებულებას (250 ლარი), რის შემდეგაც მოწყობილობა წარმოადგენს აბონენტის საკუთრებას.
2. მომსახურების გააქტიურების ერთჯერადი საფასური შეადგენს 80 ლარს. აბონენტი ვალდებულია მომსახურების მიღება გააქტიუროს ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.
3. წინამდებარე დანართით გათვალისწინებული ყველა გადასახადი მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ გადასახადებს.
4. აბონენტი ვალდებულია ყოველთვიური მომსახურების საფასური (სააბონენტო გადასახდელი, დამატებითი მომსახურების გადასახდელი) გადაიხადოს წინასწარ. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი სარგებლობს ორი ან მეტი მიმღებით, ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასურის სრული ოდენობა (ყველა მიმღებზე).
5. მომსახურების ტარიფები, საფასური, გადასახდელები, დამატებითი მომსახურების (დამატებითი პაკეტები, პაუზა, ჯგუფის გამოძახება, მომსახურების მიღების მისამართის ცვლილება, დემონტაჟი და სხვა დამატებითი მომსახურებების პირობები) და სხვა პირობები განისაზღვრება ოპერატორის მიერ და აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ოპერატორის ვებ-გვერდზე www.magticom.ge. მომსახურების შეზღუდვა ავტომატურად იწვევს დამატებითი მომსახურებების შეზღუდვას, თუ დამატებითი მომსახურების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.¹⁶
6. მომსახურების საფასურის (სააბონენტო გადასახდელი, დამატებითი მომსახურების გადასახდელი) სრულად, წინასწარ (მე-4 პუნქტის შესაბამისად) გადახდის შემდგომ, აბონენტს მომსახურება მიეწოდება მომდევნო 30 დღის განმავლობაში. 30 დღის გასვლის შემდეგ მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს მომსახურების მიწოდება ეზღუდება (უჩერდება). თუ მომსახურების მიწოდება არ შეიზღუდა აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს ფულადი საავანსო თანხის(დეპოზიტის) ზემოთ გაწეული მომსახურების საფასური. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების შეზღუდვამდე აბონენტმა არასრულად გადაიხადა მომდევნო თვის მომსახურების საფასური, მომსახურება მიეწოდება გადახდილი თანხის პროპორციულად. შეზღუდული მომსახურების მიწოდება აღდგება მხოლოდ მომსახურების საფასურის სრულად გადახდის შემდგომ, 24 საათის განმავლობაში.
7. აბონენტის მიერ მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 60 დღის განმავლობაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში (აბონენტის მიერ წარმოქმნილი დავალიანების არ გადახდა), ოპერატორი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და ამოიღოს წარმოქმნილი დავალიანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8. ანგარიშსწორება გაწეული მომსახურებისათვის წარმოებს როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

* HD არხების მიღებისათვის საჭიროა HD მიმღები.

** წინასწარ გადახდად ითვლება აბონენტის მიერ სააბონენტო ანგარიშზე სრული თანხის წინასწარ ჩარიცხვა.

მხარეთა ხელმოწერები

აბონენტი

ოპერატორი

¹⁴ 21.01.2019-მდე სტარტ-პაკეტის საფასური შეადგენს 6 ლარს, არხების რაოდენობა 48

¹⁵ 21.01.2019-მდე საშუალო პაკეტის საფასური შეადგენს 17 ლარს, არხების რაოდენობა 101

¹⁶ ცვლილება ძალაშია 01.08.2018-დან